სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/29

ქ. თბილისი

21 ივნისი 2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2023 წლის 19 ივნისის №0000717576 წერილის, სატელეკომუნიკაციო და მულტიმედია სისტემების განყოფილების ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 21 ივნისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2023 წლის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1.1. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებაში გაუქმდეს II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (კომპიუტერული სერვისის ადმინისტრატორი) 1 საშტატო ერთეული ხელფასით - 1000 ლარი და დაემატოს II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ხელფასით - 900 ლარი.

1.2. ადმინისტრაციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის განყოფილებაში გაუქმდეს III კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ხელფასით - 800 ლარი და დაემატოს I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1

საშტატო ერთეული ხელფასით - 1300 ლარი; ასევე, **ხარისხის კონტროლის, ანალიზისა და განვითარების განყოფილებაში გაუქმდეს** II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ხელფასით - 900 ლარი და დაემატოს I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ხელფასით - 1300 ლარი; **პროფესიული პროგრამების განყოფილებაში** გაუქმდეს II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ხელფასით - 900 ლარი.

1.3. ადმინისტრაციის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის სატელეკომუნიკაციო და მულტიმედია სისტემების განყოფილებაში გაუქმდეს III კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული თითოეულის ხელფასით - 800 ლარი და დაემატოს I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ხელფასით - 1300 ლარი.

სტუ-ს საშტატო განრიგში განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**